

## დანართი

### იარაღით ვაჭრობის ხელშეკრულება

#### პრეამბულა

*ამ ხელშეკრულების წვერი სახელმწიფოები,*

*ხელმძღვანელობენ რა გაეროს წესდების მიზნებითა და პრინციპებით,*

*ითვალისწინებენ რა, გაეროს წესდების 26-ე მუხლს, რომელიც მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საერთაშორისო მშვიდობისა და უსაფრთხოების შექმნასა და შენარჩუნებას, შეიარაღებისათვის მსოფლიო ადამიანური და ეკონომიკური რესურსების მინიმალურად გამოყენებით,*

*ხაზს უსვამენ რა, ჩვეულებრივი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობის თავიდან აცილებისა და აღმოფხვრის საჭიროებას და რომ უნდა აღმოიფხვრას მათი გადამისამართება უკანონო ბაზარზე, ან არაუფლებამოსილ საბოლოო მოხმარებაზე და საბოლოო მომხმარებლებზე, მათ შორის ტერორისტული აქტების განსახორციელებლად,*

*აღიარებენ რა, სახელმწიფოთა ლეგიტიმურ პოლიტიკურ, უსაფრთხოების, ეკონომიკურ და კომერციულ ინტერესებს ჩვეულებრივი შეიარაღებით საერთაშორისო ვაჭრობაში.*

*ადასტურებენ რა, ნებისმიერი სახელმწიფოს სუვერენულ უფლებას დაარეგულიროს და აკონტროლოს ჩვეულებრივი შეიარაღება ექსკლუზიურად საკუთარი ტერიტორიის ფარგლებში, მათი სამართლებრივი ან კონსტიტუციური სისტემის შესაბამისად,*

*აღიარებენ რა, რომ მშვიდობა და უსაფრთხოება, განვითარება და ადამიანთა უფლებები არის გაეროს სისტემის საყრდენი და საფუძველი კოლექტიური უსაფრთხოებისა და აცნობიერებენ, რომ განვითარება, მშვიდობა, უსაფრთხოება და ადამიანთა უფლებები ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგამაძლიერებელია,*

*ითვალისწინებენ რა, გაეროს განიარაღების კომისიის სახელმძღვანელო პრინციპებს შეიარაღების საერთაშორისო გადაცემაზე გენერალური ასამბლეის 1991 წლის 6 დეკემბრის 46/36H რეზოლუციის კონტექსტში,*

*აღნიშნავენ რა, გაეროს სამოქმედო პროგრამის წელიწადს მცირე შეიარაღებითა და მსუბუქი იარაღით უკანონო ვაჭრობის ხელის შეშლის, ბრძოლისა და აღმოფხვრის ყველა ასპექტში, ისევე როგორც ცეცხლსასროლი იარაღის, მათი ნაწილებისა და კომპონენტების, საბრძოლო მასალების უკანონო დამზადებისა და უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ოქმს, რომელიც ავსებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციას, და წარმოადგენს საერთაშორისო ინსტრუმენტს, რათა სახელმწიფოებს საშუალება მიეცეთ, დროული და საიმედო ფორმით, გამოავლინონ და მიაკვლიონ უკანონო მცირე შეიარაღებასა და მსუბუქ იარაღს,*

*აენობიერებენ რა, ჩვეულებრივი შეიარაღებით უკანონო და დაურეგულირებელი ვაჭრობის შედეგებს უსაფრთხოებასა, სოციალურ, ეკონომიკურ და ჰუმანიტარულ საკითხებზე,*

*ითვალისწინებენ რა, რომ მშვიდობიანი მოსახლეობა, განსაკუთრებით ქალები და ბავშვები, შეადგენენ უმრავლესობას, რომლებსაც ყველზე მეტი ზიანი ადგებათ შეიარაღებული კონფლიქტისა და შეიარაღებული ძალადობის დროს,*

*აენობიერებენ რა, ასევე შეიარაღებული კონფლიქტის შედეგად დაზარალებულთა წინშე მდგარ პრობლემებს და მათი სათანადო მოვლის, რეაბილიტაციისა და სოციალური და ეკონომიკური ჩართულობის საჭიროებას,*

*ხაზგასმით აღნიშნავენ რა, რომ ამ ხელშეკრულებაში სახელმწიფოებს არაფერი უკრძალავთ შეინარჩუნონ და დამატებითი უფექტური ზომები მიიღონ, ამ ხელშეკრულების მიზნისა და დანიშნულების გასაღრმავებლად,*

*ითვალისწინებენ რა, ცალკეული ჩვეულებრივი შეიარაღების ლეგიტიმურ და კანონიერ მფლობელობას და გამოყენებას გასართობი, კულტურული, ისტორიული, და სპორტული ღონისძიებებისთვის, როდესაც ამგვარი ვაჭრობა, მფლობელობა და გამოყენება დაშვებული და დასულია კანონით,*

*ითვალისწინებენ ასევე რა, როლს, რომელიც რეგიონალურ ორგანიზაციებს შეუძლიათ ითამაშონ წვერი სახელმწიფოების მიერ, მოთხოვნის საფუძველზე, ამ ხელშეკრულების განხორციელების დახმარებაში,*

*აენობიერებენ რა, ასევე ნებაყოფლობით და აქტიურ როლს, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებას, მათ შორის არასამთავრობო ორგანიზაციებს, და ინდუსტრიას შეუძლია ითამაშოს ამ ხელშეკრულების მიზნისა და დანიშნულების*

შესახებ ინფორმირებულობის გაზრდაში და მისი განხორციელების მხარდაჭერაში,

*აღიარებენ* რა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღებით საერთაშორისო ვაჭრობის წესმა და მისი გადამისამართების ხელშეშლამ არ უნდა შეაფერხოს საერთაშორისო თანამშრომლობა და მასალით, აღჭურვილობითა და ტექნოლოგიებით კანონიერი ვაჭრობა მშვიდობიანი მიზნებისათვის,

*ხაზგასმით აღნიშნავენ* რა, ამ ხელშეკრულების საყოველთაოდ სავალდებულოდ აღიარების სურვილს,

*განსაზღვრული აქვთ* რა, იმოქმედონ შემდეგი პრინციპების შესაბამისად:

### *პრინციპები*

- ყველა სახელმწიფოს განუყოფელი უფლება ინდივიდუალურ და კოლექტიურ თავდაცვაზე, როგორც აღიარებულია გაეროს წესდების 51-ე მუხლში;
- საერთაშორისო დავების მშვიდობიანად გადაწყვეტა იმგვარი გზებით, რომ საერთაშორისო მშვიდობას, უსაფრთხოებას და სამართლიანობას არ დაემუქრება საფრთხე გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად;
- თავი შეიკავონ თავიანთ საერთაშორისო ურთიერთობებში ნებისმიერი სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის ან პოლიტიკური დამოუკიდებლობის წინააღმდეგ მუქარისა და ძალის გამოყენებისაგან, ან ნებისმიერი სხვა სახის ქმედებისაგან, რომელიც გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გაეროს მიზნების შეუსაბამოა;
- გაეროს წესდების მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად ნებისმიერი სახელმწიფოს ექსკლუზიურად შიდა იურისდიქციის საქმეებში ჩაურევლობა;
- საერთაშორისო კუმანიტარული სამართლის პატივისცემა და პატივისცემის უზრუნველყოფა, მათ შორის, 1949 წლის ენევის კონვენციის შესაბამისად, და ადამიანთა უფლებების პატივისცემა და პატივისცემის უზრუნველყოფა, მათ შორის, გაეროს წესდებისა და ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის შესაბამისად;
- ყველა სახელმწიფოს მოვალეობაა მათი საერთაშორისო ვალდებულებების შესაბამისად, ეფექტურად არეგულიროს ჩვეულებრივი შეიარაღებით საერთაშორისო ვაჭრობა, და ხელი შეუშალოს მათ გადამისამართებას,

ისევე როგორც სახელმწიფოთა პირველადი მოვალეობაა მათი ეროვნული კონტროლის სისტემების შექმნა და განხორციელება;

- სახელმწიფოთა კანონიერი ინტერესის პატივისცემა, მოიპოვონ ჩვეულებრივი შეიარაღება თავდაცვის უფლების განხორციელებისა და სამშვიდობო ოპერაციებისათვის და მოახდინონ ჩვეულებრივი შეიარაღების წარმოება, ექსპორტირება, იმპორტირება და გადაცემა;
- ამ ხელშეკრულების ერთგვაროვანი, ობიექტური და არადისკრიმინაციული ფორმით განხორციელება,

*შეთანხმდნენ შემდეგზე:*

### მუხლი 1 ობიექტი და მიზანი

ამ ხელშეკრულების ობიექტია:

- დააწესოს შესაძლო უმაღლესი საერთო საერთაშორისო სტანდარტები ჩვეულებრივი შეიარაღებით საერთაშორისო ვაჭრობის დასარეგულირებლად ან რეგულირების გასაუმჯობესებლად;
- ჩვეულებრივი შეიარაღებით უკანონო ვაჭრობისა და მათი გადამისამართების აღმოფხვრა და აღკვეთა;

შემდგომი მიზნებისათვის:

- საერთაშორისო და რეგიონალურ მშვიდობაში, უსაფრთხოებასა და სტაბილურობაში წვლილის შეტანა;
- აღამიანთა ტანჯვის შემცირება;
- წევრ სახელმწიფოთა თანამშრომლობის, გამჭვირვალობისა და საპასუხისმგებლო ქმედებების ხელშეწყობა ჩვეულებრივი შეიარაღებით საერთაშორისო ვაჭრობაში და ამით წევრ სახელმწიფოთა შორის ნდობის მშენებლობა.

### მუხლი 2 მოქმედების სფერო

1. ეს ხელშეკრულება ვრცელდება ყველა სახის ჩვეულებრივ შეიარაღებაზე შემდეგი კატეგორიების ფარგლებში:

- a) ტანკები;
- b) დაჯაფშნული საბრძოლო მანქანები;
- c) მაღალ-კალიბრიანი საარტილერიო სისტემები;
- d) საბრძოლო საჰაერო ხომალდები;
- e) მოიერიშე ვერტმფრენები;
- f) სამხედრო გემები;
- g) რაკეტები და სარაკეტო სისტემები; და
- h) მცირე შეიარაღება და მსუბუქი ცეცხლსასროლი იარაღი.

2. ამ ხელშეკრულების მიზნებისათვის საერთაშორისო სავაჭრო საქმიანობა მოიცავს ექსპორტს, იმპორტს, ტრანზიტს, გადატვირთვასა და საბროკერო საქმიანობას, შემდგომში „გადაცემა“.

3. ეს ხელშეკრულება არ ვრცელდება ჩვეულებრივი შეიარაღების საერთაშორისო გადაადგილებაზე, წვერი სახელმწიფოს მიერ ან მისი სახელით, მისი გამოყენებისათვის იმ პირობით, რომ ჩვეულებრივი შეიარაღება რჩება წვერი სახელმწიფოს საკუთრებაში.

### მუხლი 3

#### საბრძოლო მასალა/აღჭურვილობა

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს ეროვნული კონტროლის სისტემა, რათა არეგულიროს გასროლილი, გაშვებული ან მე-2 მუხლის პირველ პუნქტში გათვალისწინებული ჩვეულებრივი შეიარაღების ფარგლებში მიწოდებული საბრძოლო მასალის/აღჭურვილობის ექსპორტი, და უნდა გამოიყენოს შეთანხმების მე-6 და მე-7 მუხლები ასეთი საბრძოლო მასალის/აღჭურვილობის ექსპორტის ნებართვის გაცემამდე.

#### მუხლი 4 ნაწილები და კომპონენტები

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს ეროვნული კონტროლის სისტემა, რათა დაარეგულიროს ნაწილების და კომპონენტების ექსპორტი. როდესაც ნაწილების და კომპონენტების ექსპორტი იმ ფორმით ხდება, რომ საშუალებას იძლევა აიწყოს მე-2 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღება და უნდა გამოიყენოს შეთანხმების მე-6 და მე-7 მუხლები ასეთი ნაწილებისა და კომპონენტების ექსპორტის ნებართვის გაცემამდე.

#### მუხლი 5 ზოგადი განხორციელება

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განახორციელოს ეს ხელშეკრულება ერთგვაროვანი, ობიექტური და არადისკრიმინაციული ფორმით, ამ ხელშეკრულებაში აღნიშნულ პრინციპებზე დაყრდნობით.
2. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა შექმნას და შეინარჩუნოს ეროვნული კონტროლის სისტემა, მათ შორის ეროვნულ კონტროლს დაქვემდებარებული საგნების ნუსხა, რათა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულების დებულებები.
3. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე თითოეულ წევრ სახელმწიფოს მოეწოდება გააერცელოს ხელშეკრულების დებულებები ჩვეულებრივი შეიარაღების უვრცელეს სპექტრზე. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ა“-„გ“ ქვეპუნქტებით განსაზღვრული კატეგორიების ეროვნული განსაზღვრებები არ უნდა მოიცავდეს გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეესტრში განსაზღვრულ ჩამონათვალზე ნაკლებს. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლამდე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ი“ ქვეპუნქტში აღნიშნული კატეგორიის ეროვნული განსაზღვრებები არ უნდა მოიცავდეს გაეროს სათანადო ინსტრუმენტებში განსაზღვრულზე ნაკლებს.
4. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, სამღივნოს უნდა წარუდგინოს მისი ეროვნული კონტროლის ნუსხა, რომელიც მას ხელმისაწვდომს გახდის სხვა წევრი

სახელმწიფოთათვის. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადონ თავიანთი კონტროლის ნუსხა.

5. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ამ ხელშეკრულების დებულებების განსახორციელებლად საჭირო ზომები და უნდა განსაზღვროს კომპეტენტური ორგანოები, რათა პქონდეს ეფექტური და გამჭვირვალე, მე-2 მუხლის პირველი პუნქტითა და მე-3 და მე-4 მუხლებით გათვალისწინებული ჩვეულებრივი შეიარაღების გადაცემის კონტროლის ეროვნული სისტემა.

6. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ერთი ან მეტი ეროვნული საკონტაქტო პირი ამ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გასაცვლელად. ყველა წევრმა სახელმწიფომ თავიანთი ეროვნული საკონტაქტო პირ(ებ)ის შესახებ უნდა აცნობოს სამდივნოს, რომელიც დაარსებულია მე-18 მუხლის შესაბამისად და მოახდინოს ინფორმაციის განახლება.

## მუხლი 6 აკრძალვები

1. წევრმა სახელმწიფომ არ უნდა გასცეს ნებართვა ჩვეულებრივი შეიარაღების, რომლებიც განსაზღვრულია მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ან საგნების, რომელიც განსაზღვრულია მე-3 და მე-4 მუხლებში ნებისმიერ გადაცემაზე, თუკი გადაცემა დაარღვევს მის ვალდებულებებს გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ მიღებულ ზომებთან მიმართებაში, რომელიც მოქმედებდა გაეროს წესდების VII თავის შესაბამისად, განსაკუთრებით შეიარაღების ემბარგოს თაობაზე.

2. წევრმა სახელმწიფომ არ უნდა გასცეს ნებართვა ჩვეულებრივი შეიარაღების, რომლებიც განსაზღვრულია მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ან საგნების, რომელიც განსაზღვრულია მე-3 და მე-4 მუხლებში, ნებისმიერ გადაცემაზე თუკი გადაცემა არღვევს მის შესაბამის საერთაშორისო ვალდებულებებს, რომლებიც გამომდინარეობენ იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებიდან, რომლის მხარესაც იგი წარმოადგენს, განსაკუთრებით კი იმ ხელშეკრულებების, რომლებიც ეხება ჩვეულებრივი შეიარაღების გადაცემას, ან უკანონო საქონლით ვაჭრობას.

3. წევრმა სახელმწიფომ არ უნდა გასცეს ნებართვა ჩვეულებრივი შეიარაღების, რომლებიც განსაზღვრულია მე-2 მუხლის პირველ პუნქტში ან საგნების, რომელიც განსაზღვრულია მე-3 და მე-4 მუხლებში ნებისმიერ გადაცემაზე თუ მას ნებართვის გაცემის დროისათვის ეცოდინება, რომ შეიარაღება და საგნები გამოყენებულ იქნება გენოციდის, დანაშაულის კაცობრიობის წინააღმდეგ, 1949 წლის ენევის კონვენციების უხეში დარღვევის, სამოქალაქო ობიექტების ან მშვიდობიანი მოსახლეობის წინააღმდეგ მიმართული თავდასხმების, ან სხვა სამხედრო დანაშაულების ჩასადენად, როგორც განსაზღვრულია იმ საერთაშორისო ხელშეკრულებებში, რომლის მხარესაც იგი წარმოადგენს.

### მუხლი 7

#### ექსპორტი და ექსპორტის შეფასება

1. თუ ექსპორტი არ არის აკრძალული მე-6 მუხლით, ყოველმა ექსპორტიორმა მხარემ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების ან მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული საგნების ექსპორტის ნებართვის გაცემამდე, საკუთარი იურუსდიქციისა და მისი კონტროლის სისტემის შესაბამისად, ობიექტური და არადისკრიმინაციული ფორმით, შესაბამისი ფაქტორების გათვალისწინებით, მე-8 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად იმპორტიორი სახელმწიფოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის ჩათვლით უნდა შეაფასოს შესაძლებლობა, რომ ჩვეულებრივი შეიარაღება და საგნები:

- a) ხელს შეუწყობს ან საფრთხეს შეუქმნის მშვიდობასა და უსაფრთხოებას;
- b) შეიძლება გამოყენებულ იქნას:
  - I) საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის მნიშვნელოვანი დარღვევის ჩასადენად ან აღნიშნულის ხელის შესაწყობად;
  - II) აღამიანის უფლებათა საერთაშორისო სამართლის მნიშვნელოვანი დარღვევის ჩასადენად ან აღნიშნულის ხელის შესაწყობად;
  - III) ისეთი ქმედების ჩასადენად ან ხელის შესაწყობად, რომელიც ტერორიზმთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციებით ან

ოქმებით, რომლის მხარეც ექსპორტიორი სახელმწიფოა, წარმოადგენს დანაშაულს; ან

IV) ისეთი ქმედების ჩასადენად ან ხელის შესაწყობად, რომელიც გრანსნაციონალურ ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული საერთაშორისო კონვენციებით ან ოქმებით, რომლის მხარეც ექსპორტიორი სახელმწიფოა, წარმოადგენს დანაშაულს.

2. ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფომ ასევე უნდა განიხილოს არსებობს თუ არა პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტში განსაზღვრული რისკების შემამცირებელი ზომები, რომლებიც შეიძლება განხორციელდეს, როგორცაა ნდობის განსამტკიცებელი ზომები ან ექსპორტიორი და იმპორტიორი სახელმწიფოების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებული პროგრამები.

3. თუ, ამ შეფასების გაკეთებისა და შემამსუბუქებელი ზომების განხილვის გათვალისწინებით, ექსპორტიორი წევრი სახელმწიფო დაადგენს, რომ არსებობს პირველ პუნქტში გათვალისწინებული ნებისმიერი უარყოფითი შედეგის მნიშვნელოვანი რისკი, მაშინ ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფომ არ უნდა გასცეს ექსპორტის ნებართვა.

4. ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფომ, ამ შეფასების გაკეთებისას, უნდა გაითვალისწინოს, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების ან მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული საგნების გამოყენებით, მნიშვნელოვანი გენდერული ან ქალთა და ბავშვთა წინააღმდეგ მიმართული ძალადობის ჩადენის ან ასეთის ხელშეწყობის რისკი.

5. თითოეულმა ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომ მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების ან მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრული საგნების ექსპორტის ნებართვა იყოს დეტალური და გაცემულია ექსპორტის განხორციელებამდე.

6. თითოეულმა ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფომ შესაბამისი ინფორმაცია საეჭვო ნებართვის შესახებ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს, მოთხოვნის საფუძველზე, იმპორტიორი წევრი სახელმწიფოსათვის და საგრანზიტო ან გადამგვირთავე წევრი სახელმწიფოსათვის, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, პრაქტიკისა და პოლიტიკის გათვალისწინებით.

7. თუ, ნებართვის გაცემის შემდეგ, ექსპორტიორი წვერი სახელმწიფოსათვის ცნობილი გახდება ახალი სათანადო ინფორმაცია, მაშინ რეკომენდირებულია ნებართვის ხელახალი შეაფასება, საჭიროების შემთხვევაში, იმპორტიორ სახელმწიფოსთან კონსულტაციით.

#### მუხლი 8 იმპორტი

1. თითოეულმა იმპორტიორმა წვერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა უზრუნველყოს სათანადო და შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება, მოთხოვნის საფუძველზე, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის გათვალისწინებით, ექსპორტიორი წვერი სახელმწიფოსათვის, რათა დაეხმაროს ექსპორტიორ წვერ სახელმწიფოს თავისი ეროვნული ექსპორტის შეფასების ჩატარებაში მე-7 მუხლის შესაბამისად. ასეთი ზომები შესაძლოა მოიცავდეს საბოლოო მოხმარების ან საბოლოო მომხმარებლის ლოკუმენტაციას.

2. თითოეულმა იმპორტიორმა წვერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რომლებიც საშუალებას მიცემს, საჭიროების შემთხვევაში, დაარეგულიროს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების იმპორტი თავისი იურისდიქციის შესაბამისად. ასეთი ზომები შეიძლება მოიცავდეს საიმპორტო სისტემების გამოყენებასაც.

3. თითოეულ იმპორტიორ წვერ სახელმწიფოს ექსპორტიორი წვერი სახელმწიფოსაგან შეუძლია მოითხოვოს ინფორმაცია დაუმთავრებელ ან მიმდინარე ექსპორტის ნებართვაზე, რომელშიც იმპორტიორი წვერი სახელმწიფო არის საბოლოო დანიშნულების ქვეყანა.

#### მუხლი 9 გრანზიტი ან გადატვირთვა

თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, როდესაც აუცილებელი და შესაძლებელია, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების თავისი იურისდიქციის ფარგლებში

გრანზიგის ან ვალაგვიროვის დასარეგულირებლად შესაბამისი საერთაშორისო სამართლის მიხედვით.

### მუხლი 10 საბროკერო საქმიანობა

თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, მისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების საბროკერო საქმიანობის თავისი იურისდიქციის ფარგლებში დასარეგულირებლად. ასეთმა ზომებმა უნდა მოიცავდეს საბროკერო საქმიანობისათვის რეგისტრაციის მოთხოვნას ან საბროკერო საქმიანობაში ჩართვამდე წერილობითი ნებართვის აღებას.

### მუხლი 11 გადამისამართება

1. თითოეულმა, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადაცემაში ჩართულმა, წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, რათა აღკვეთოს მათი გადამისამართება.
2. ექსპორტიორი წევრი სახელმწიფო უნდა ეცადოს საკუთარი ეროვნული კონტროლის სისტემით, რომელიც შექმნილია მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, აღკვეთოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართება, ექსპორტის გადამისამართების რისკის შეფასებითა და რისკის შემამცირებელი ღონისძიებების შექმნის გათვალისწინებით. როგორცაა ნდობის განსამტკიცებელი ზომები ან ექსპორტიორი და იმპორტიორი სახელმწიფოების მიერ ერთობლივად შემუშავებული და შეთანხმებული პროგრამები. საჭიროების შემთხვევაში, სხვა პრევენციული ღონისძიებები შესაძლოა მოიცავდეს: ექსპორტში მონაწილე მხარეთა შესწავლას, დამატებითი დოკუმენტაციის, სერტიფიკატების, გარანტიების მოთხოვნას, ექსპორტის აკრძალვას ან სხვა სათანადო ღონისძიებებს.
3. იმპორტიორმა, საგრანზიგო, გადამგვირთავე და ექსპორტიორმა წევრმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ და გაცვალონ ინფორმაცია, თავიანთი

შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, რათა შეამცირონ მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართების რისკი.

4. თუ, წევრი სახელმწიფო გამოავლენს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართებას, მაშინ წევრმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს ზომები, თავისი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობისა და საერთაშორისო სამართლის შესაბამისად, ასეთი გადამისამართების აღმოსაფხვრელად. ასეთი ზომები შესაძლოა მოიცავდეს პოტენციური დამარაღებული სახელმწიფოს გაფრთხილებას, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი გადამისამართებული შეიარაღების შემოწმებას, და შემდგომი ზომების განხორციელებას გამოძიებითა და სამართალდაცვითი ღონისძიებებით.

5. მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული გადაცემული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართების უკეთ აღმოსაჩენად და აღსაკვეთად, წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ გაცვალონ ერთმანეთში შესაბამისი ინფორმაცია გადამისამართების აღსაკვეთი ეფექტური ზომების შესახებ. ასეთი ინფორმაცია შესაძლოა მოიცავდეს ინფორმაციას უკანონო საქმიანობის შესახებ კორუფციის, საერთაშორისო უკანონო ვაჭრობის მარშრუტების, უკანონო საბროკერო საქმიანობის, უკანონო მიწოდების წყაროების, დაფარვის მეთოდების, საერთო გაგზავნის წერტილების, ან გადამისამართებაში მონაწილე ორგანიზებული ჯგუფების მიერ გამოყენებული დანიშნულების ადგილების ჩათვლით.

6. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ სამდივნოს მეშვეობით წარუდგინონ ანგარიში სხვა წევრ სახელმწიფოებს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართების აღსაკვეთად მიღებული ზომების შესახებ.

## მუხლი 12

### აღრიცხვის წარმოება

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა აწარმოოს მის მიერ გაცემული, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების, საექსპორტო ნებართვებისა და მისი ფაქტობრივი ექსპორტის ეროვნული აღრიცხვა თავისი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. თითოეულ წევრ სახელმწიფოს მოეწოდება აწარმოოს მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული იმ ჩვეულებრივი შეიარაღების აღრიცხვა, რომელიც გადაცემულია მის გერიტორიაზე, როგორც საბოლოო დანიშნულების ადგილზე, ან რომელზეც გაცემულია ნებაართვა, რომ განხორციელდეს გრანზიტი ან გადაკვირთვა მისი იურისდიქციის ქვეშ მყოფ გერიტორიაზე.

3. თითოეულ წევრ სახელმწიფოს მოეწოდება ამ აღრიცხვებში შეიტანოს: რაოდენობა, ღირებულება, მოდელი/სახეობა, მე-2 მუხლის პირველ პუნქტში განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების ნებადართული საერთაშორისო გადაცემები, უშუალოდ გადაცემული ჩვეულებრივი შეიარაღება, ექსპორტიორი, იმპორტიორი სახელმწიფო(ების) შესახებ დეტალები, და საბოლოო მომხმარებლები.

4. აღრიცხვები უნდა ინახებოდეს მინიმუმ ათი წლის განმავლობაში.

### მუხლი 13 ანგარიშების წარდგენა

1. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ამ ხელშეკრულების, 22-ე მუხლის შესაბამისად, მისთვის ძალაში შესვლის პირველი წლის განმავლობაში, უნდა უზრუნველყოს ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად მის მიერ მიღებული ზომების შესახებ პირველადი ანგარიშის სამდივნოში წარდგენა, რომელიც უნდა ასევე მოიცავდეს ინფორმაციას შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის, ეროვნული კონტროლის ნუსხის და სხვა რეგულაციებისა და აღმინისგრატიული ზომების შესახებ. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ, ასევე, უნდა აცნობოს სამდივნოს ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად მიღებული ნებისმიერი ახალი ზომების შესახებ. ანგარიშები სამდივნომ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს წევრი სახელმწიფოთათვის და გაავრცელოს მათ შორის.

2. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ სამდივნოს მეშვეობით წარუდგინონ სხვა წევრ სახელმწიფოებს ინფორმაცია მიღებული ზომების შესახებ, რომლებიც აღმოჩნდა ეფექტური მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადაცემის გადამისამართების აღსაკვეთად.

3. თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ ყოველწლიურად 31 მაისამდე უნდა წარუდგინოს სამდივნოს წინა კალენდარული წლის ანგარიში, მე-2 მუხლის

პირველი პუნქტით განსაზღვრულ ჩვეულებრივ შეიარაღებაზე გაცემული ნებართვებისა ან ფაქტობრივი ექსპორტისა და იმპორტის შესახებ. ანგარიშები სამდივნომ ხელმისაწვდომი უნდა გახადოს წვერ სახელმწიფოთათვის და გააერცელოს მათ შორის. სამდივნოსათვის წარდგენილი ანგარიში შეიძლება შეიცავდეს იგივე ინფორმაციას, რომელიც წვერ სახელმწიფოს უკვე წარდგენილი აქვს გაეროსთან შესაბამისი თანამშრომლობის ფარგლებში, მათ შორის გაეროს ჩვეულებრივი შეიარაღების რეგისტრისათვის. ანგარიშებში შესაძლოა არ იყოს შესული კომერციულ საიდუმლოებასა ან სახელმწიფო საიდუმლოებასთან დაკავშირებული ინფორმაცია.

#### მუხლი 14

##### შესრულების უზრუნველყოფა

თითოეულმა წვერმა სახელმწიფომ უნდა მიიღოს სათანადო ზომები, რათა დაიცვას ის ერვნული კანონმდებლობა, რომელიც უზრუნველყოფს ამ ხელშეკრულების დებულებების განხორციელებას.

#### მუხლი 15

##### საერთაშორისო თანამშრომლობა

1. წვერმა სახელმწიფოებმა უნდა ითანამშრომლონ ერთმანეთთან, მათი უსაფრთხოების ინტერესებისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ეფექტურად განხორციელების მიზნით.
2. წვერ სახელმწიფოებს მოეწოდებათ ხელი შეუწყონ საერთაშორისო თანამშრომლობას, მათ შორის გაცვალონ ინფორმაცია საკითხებზე, რომლებიც წარმოადგენს საერთო ინტერესს ამ ხელშეკრულების განხორციელებისა და გამოყენების მიზნით, მათი უსაფრთხოების ინტერესებისა და შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. წვერ სახელმწიფოებს მოეწოდებათ საჭიროების შემთხვევაში აწარმოონ კონსულტაციები საერთო ინტერესის საკითხებზე და გაცვალონ ინფორმაცია, რათა ხელი შეუწყონ ამ ხელშეკრულების ეფექტურად განხორციელებას.

4. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ ითანამშრომლონ, თავიანთი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, ამ ხელშეკრულების დებულებების ეროვნულ დონეზე განხორციელების ხელშეწყობის მიზნით, მათ შორის არაკანონიერ ქმედებებთან და მასში მონაწილე პირებთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლის გზით, რათა თავიდან აიცილონ და აღმოფხვრან მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადამისამართება.

5. წევრი სახელმწიფოები აღმოუჩენენ ერთმანეთს, ურთიერთშეთანხმებითა და მათი შიდასახელმწიფოებრივი კანონმდებლობის შესაბამისად, დახმარებას გამოძიებებში, სამართალწარმოებებში და სასამართლო პროცესებში, რომლებიც დაკავშირებულია ამ ხელშეკრულების შესაბამისად შექმნილი ეროვნული ზომების დაღვევებთან.

6. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ მიიღონ ეროვნული ზომები და ითანამშრომლონ ერთმანეთთან, რათა არ დაუშვან რომ, მე-2 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული ჩვეულებრივი შეიარაღების გადასემა გახდეს კორუფციული საქმიანობის საგანი.

7. წევრ სახელმწიფოებს მოეწოდებათ გაცვალონ გამოცდილება და ინფორმაცია ამ ხელშეკრულების ნებისმიერ ასპექტთან დაკავშირებით მიღებულ გამოცდილებაზე.

#### მუხლი 16

#### საერთაშორისო დახმარება

1. ამ შეთანხმების განხორციელებისას თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ შეიძლება მოითხოვოს დახმარება იურიდიული ან საკანონმდებლო დახმარების, ინსტიტუციონალური შესაძლებლობების გასაზრდელი, ტექნიკური, მატერიალური ან ფინანსური დახმარების ჩათვლით. ამგვარი დახმარება შესაძლოა მოიცავდეს მარაგების მართვას, განიარაღებას, სადემობილიზაციო და რეინტეგრაციის პროგრამებს, საკანონმდებლო მოდელს და განხორციელების ეფექტურ პრაქტიკას. მოთხოვნის საფუძველზე, აღნიშნული შესაძლებლობის მქონე თითოეულმა წევრმა სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ასეთი დახმარება.

2. თითოეულ წევრ სახელმწიფოს შეუძლია მოითხოვოს, შეთავაზოს ან მიიღოს დახმარება მათ შორის გაეროს, საერთაშორისო, რეგიონალური, ქვერეგიონალური ან ეროვნული ორგანიზაციების, არასამთავრობო ორანიზაციების მეშვეობით, ან ორმხრივ საფუძველზე.

3. წევრი სახელმწიფოების მიერ უნდა შეიქმნას ნებაყოფლობითი ნდობის ფონდი, რათა დაეხმარონ იმ წევრ სახელმწიფოებს, რომლებიც ითხოვენ საერთაშორისო დახმარებას ამ ხელშეკრულების განსახორციელებლად. თითოეულ წევრ სახელმწიფოს მოეწოდება შეიგანოს რესურსები აღნიშნულ ფონდში.

## მუხლი 17

### წევრ სახელმწიფოთა კონფერენცია

1. წევრ სახელმწიფოთა კონფერენცია მოწვეულ უნდა იქნას დროებითი სამდივნოს მიერ, რომელიც დაარსებულია მე-18 მუხლის შესაბამისად, ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ არა უგვიანეს ერთი წლისა და შემდგომში ნებისმიერ სხვა დროს, რომელსაც წევრ სახელმწიფოთა კონფერენცია გადაწყვეტს.

2. წევრ სახელმწიფოთა კონფერენციამ კონსენსუსის გზით პირველ სხდომაზე უნდა მიიღოს პროცედურული წესები.

3. წევრ სახელმწიფოთა კონფერენციამ უნდა მიიღოს მისი ფინანსური წესები, რომელიც დაარეგულირებს მის საქმიანობას, აგრეთვე ნებისმიერი დამხმარე ორგანოს დაფინანსების საკითხს, რომელიც შეიძლება დაფუძნებულ იქნეს მის მიერ, აგრეთვე ფინანსური დებულებები, რომელიც დაარეგულირებს სამდივნოს ფუნქციონირებას. ყოველ რიგით სხდომაზე მან უნდა მიიღოს ბიუჯეტი შემდგომ რიგით სხდომამდე ფინანსური პერიოდისათვის.

4. წევრ სახელმწიფოთა კონფერენციამ უნდა:

- a) მიმოიხილოს ამ ხელშეკრულების განხორციელება, ჩვეულებრივი შეიარაღების სფეროში განვითარებების ჩათვლით;

- b) განიხილოს და მიიღოს ამ ხელშეკრულების განხორციელებისა და მოქმედების შესახებ რეკომენდაციები, კერძოდ მისი უნივერსალურობის ხელშესაწყობად;
  - c) განიხილოს ამ ხელშეკრულებაში შესატანი ცვლილებები მე-20 მუხლის შესაბამისად;
  - d) განიხილოს საკითხები, რომლებიც წარმოიშვება ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისას;
  - e) განიხილოს და გადაწყვიტოს სამდივნოს ამოცანები და ბიუჯეტი;
  - f) განიხილოს ამ ხელშეკრულების ფუნქციონირების გასაუმჯობესებლად საჭირო ნებისმიერი დამხმარე ორგანოს დაარსების საკითხი; და
  - g) განახორციელოს ნებისმიერი სხვა ფუნქცია, რომელიც შესაბამისობაშია ამ ხელშეკრულებასთან.
5. წევრ სახელწიფოთა კონფერენციის რიგგარეშე სხდომა შესაძლოა ჩატარდეს ნებისმიერ სხვა დროს, რომელსაც წევრ სახელწიფოთა კონფერენცია მიიჩნევს საჭიროდ, ან წევრი სახელწიფოს წერილობითი მოთხოვნით იმ პირობით, რომ ამ მოთხოვნას წევრ სახელმწიფოთა მინიმუმ ორი მესამედი უჭერს მხარს.

#### მუხლი 18 სამდივნო

1. ეს ხელშეკრულება წევრ მხარეთათვის ამ ხელშეკრულების ეფექტურ განხორციელებაში დასახმარებლად აფუძნებს სამდივნოს. წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის პირველ სხდომამდე დროებითი სამდივნო იქნება პასუხისმგებელი ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ფუნქციებზე.
2. სამდივნო უნდა იყოს სათანადოდ დაკომპლექტებული. პერსონალს უნდა გააჩნდეს აუცილებელი გამოცდილება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს სამდივნოს მიერ მე-3 პუნქტში განსაზღვრული ფუნქციების ეფექტურად შესრულება.

3. სამდივნო პასუხისმგებელია წევრ სახელმწიფოთა წინაშე. მინიმალური სტრუქტურის ფარგლებში სამდივნომ უნდა განახორციელოს შემდგომი ფუნქციები:

- a) მიიღოს, ხელმისაწვდომი გახადოს და გაავრცელოს ანგარიშები, რომლებიც სავალდებულოა ამ ხელშეკრულებით;
- b) შეინარჩუნოს და წევრ სახელმწიფოთათვის ხელმისაწვდომი გახადოს ეროვნული საკონტაქტო პირების სია;
- c) ხელი შეუწყოს, რომ ხელშეკრულების განხორციელებასთან დაკავშირებული შეთავაზებები და მოთხოვნები დახმარებაზე ემთხვეოდეს ერთმანეთს და მხარი დაუჭიროს საერთაშორისო თანამშრომლობას მოთხოვნისამებრ;
- d) ხელი შეუწყოს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის მუშაობას, ამ ხელშეკრულების ფარგლებში განხორციელებული შეხვედრებისათვის საჭირო მომსახურების გაწვევისა და ღონისძიებების მოწყობის ჩათვლით; და
- e) შეასრულოს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის მიერ გადაწყვეტილი სხვა მოვალეობები.

#### მუხლი 19

#### დავათა გადაწყვეტა

1. წევრმა სახელმწიფოებმა უნდა აწარმოონ კონსულტაციები და ორმხრივი შეთანხმებით ითანამშრომლონ ნებისმიერი დავის გადაწყვეტის მიზნით, რომელიც შესაძლოა წარმოიშვას მათ შორის ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა ან გამოყენებისას მოლაპარაკებების, შუამავლობის, მორიგების, სასამართლო განხილვის ან სხვა მშვიდობიანი გზების გამოყენების ჩათვლით.

2. წევრმა სახელმწიფოებმა, ურთიერთშეთანხმებით, შეიძლება მიმართონ არბიტრაჟს მათ შორის ამ ხელშეკრულების ინტერპრეტაციისა ან გამოყენებასთან დაკავშირებული ნებისმიერი დავის გადასაწყვეტად.

მუხლი 20  
ცვლილებები

1. ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან ექვსი წლის შემდეგ, ნებისმიერ წევრ სახელმწიფოს შეუძლია ამ ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის შეთავაზება. ამის შემდგომ შეთავაზებული ცვლილებები წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის მიერ შესაძლოა განხილულ იქნეს მხოლოდ ყოველ სამ წელიწადში.

2. ამ ხელშეკრულების შეცვლის ნებისმიერი შეთავაზება წერილობით უნდა წარედგინოს სამდივნოს, რომელიც შეთავაზებას გადაუგზავნის წევრ სახელმწიფოებს არა უგვიანეს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის შემდეგ სხდომამდე 180 დღისა, რომელზეც ცვლილებები შესაძლოა განხილულ იქნეს პირველი პუნქტის შესაბამისად. ცვლილებები განხილულ უნდა იქნეს წევრ სახელმწიფოთა კონფერენციის შემდეგ სხდომაზე, რომელზეც ცვლილებები განხილულ იქნება პირველი პუნქტის მიხედვით იმ შემთხვევაში თუ, არა უგვიანეს სამდივნოს მიერ მისი გადაგზავნიდან 120 დღისა, წევრ სახელმწიფოთა უმრავლესობა აცნობებს სამდივნოს, რომ ისინი მხარს უჭერენ შეთავაზების განხილვას.

3. წევრმა სახელმწიფოებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ თითოეულ ცვლილებაზე კონსენსუსის მისაღწევად. თუ კონსენსუსის მისაღწევად ყველა საშუალება ამოწურულია, და შეთანხმება არ არის მიღწეული, მაშინ ცვლილება, როგორც უკანასკნლი მომა, მიიღება წევრ სახელმწიფოთა კონფერენციაზე დამსწრე და ხმის მიმცემ წევრ სახელმწიფოთა ორი მესამედის უმრავლესობით. ამ მუხლის მიზნებისათვის, დამსწრე და ხმის მიმცემი წევრ სახელმწიფოებში იგულისხმება დამსწრე და დადებითი ან უარყოფითი ხმის მიმცემი წევრი სახელმწიფოები. დეკლარაცია ნებისმიერი მიღებული ცვლილების შესახებ უნდა აცნობოს ყველა წევრ სახელმწიფოს.

4. მე-3 პუნქტის შესაბამისად მიღებული ცვლილება ძალაში შევა ყველა წევრი სახელმწიფოსათვის, რომელმაც წარადგინა ამ ცვლილების მიღების საკუთარი დოკუმენტი, ამ ცვლილების მიღების დროისათვის, წევრ სახელმწიფოთა რიცხვითი უმრავლესობის მიერ, მიღების დოკუმენტების დეკლარაციასთან შესაბამისად გადაცემის თარიღიდან ოთხმოცდაათ დღეში. შემდგომში ყოველი დარჩენილი წევრი სახელმწიფოსათვის იგი ძალაში შევა ამ ცვლილების თანხმობის დოკუმენტის წარდგენიდან ოთხმოცდაათი დღის შემდეგ.

## მუხლი 21

### ხელმოწერა, რატიფიცირება, მიღება, დამტკიცება ან მიერთება

1. ეს ხელშეკრულება ხელმოსაწერად ღია იქნება გაეროს შტაბბინაში, ნიუ-იორკში, ყველა სახელმწიფოსათვის 2013 წლის 3 ივნისიდან მის ძალაში შესვლამდე.
2. ეს ხელშეკრულება ექვემდებარება რატიფიცირებას, მიღებას ან დამტკიცებას ყოველი ხელმომწერი სახელმწიფოს მიერ.
3. მისი ძალაში შესვლიდან, ეს ხელშეკრულება ღია უნდა იყოს მისაერთებლად ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელსაც ხელშეკრულებაზე ხელი არ მოუწერია.
4. რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტები შესაძლებლად გადაეცემა დეპოზიტარს.

## მუხლი 22

### ძალაში შესვლა

1. ეს ხელშეკრულება ძალაში შედის რატიფიცირების, მიღების ან დამტკიცების ორმოცდამეათე დოკუმენტის დეპოზიტარისათვის შესაძლებლად გადაცემის თარიღიდან ოთხმოცდაათი დღის შემდეგ.
2. ნებისმიერი სახელმწიფოსათვის, რომელიც თავის რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტებს გადაეცემს ამ ხელშეკრულების ძალაში შესვლის შემდეგ, ეს ხელშეკრულება ძალაში შევა რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების გადაცემის თარიღიდან ოთხმოცდაათი დღის შემდეგ.

## მუხლი 23

### დროებითი გამოყენება

ყოველ სახელმწიფოს შეუძლია მისი ხელმოწერის, რატიფიცირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დოკუმენტების გადაცემისას განაცხადოს,

რომ იგი დროებით გამოიყენებს ამ ხელშეკრულების მე-6 და მე-7 მუხლებს ამ სახელმწიფოსათვის ძალაში შესვლამდე არსებულ პერიოდში.

#### მუხლი 24

##### მოქმედების ვადა და ხელშეკრულებიდან გასვლა

1. ეს ხელშეკრულება იღება განუსაზღვრელი ვადით.
2. თითოეულ წევრ სახელმწიფოს, ეროვნული სუვერენიტეტის განხორციელებისას, უფლება აქვს გავიღოს ამ ხელშეკრულებიდან. მან გასვლის შესახებ უნდა აცნობოს დეპოზიტარს, რომელმაც უნდა აცნობოს ყველა დანარჩენ წევრ სახელმწიფოს. გასვლის შეტყობინება შესაძლოა შეიცავდეს გასვლის მიზეზების ახსნას. გასვლის შეტყობინება ძალაში შევა დეპოზიტარის მიერ გასვლის შეტყობინების მიღებიდან ოთხმოცდაათი დღის შემდეგ, თუკი გასვლის შეტყობინება არ ადგენს უფრო გვიან თარიღს.
3. სახელმწიფო მისი გასვლის შედეგად არ თავისუფლდება ამ ხელშეკრულების წევრ მხარედ ყოფნის პერიოდში წარმოქმნილი ვალდებულებებისაგან, მათ შორის ნებისმიერი ფინანსური ვალდებულებებისაგან, რომელიც მას შესაძლოა გააჩნია.

#### მუხლი 25

##### დათქმები

1. ხელმოწერის, რატიფიკირების, მიღების, დამტკიცების ან მიერთების დროისათვის თითოეულმა სახელმწიფომ შესაძლოა შეიმუშაოს დათქმები, თუკი დათქმები შეუსაბამობაში არ მოდის ამ ხელშეკრულების მიზანსა და დანიშნულებასთან.
2. წევრ სახელმწიფოს ნებისმიერ დროს შეუძლია გააუქმოს თავისი დათქმები დეპოზიტარისათვის შესაბამისი შეტყობინებით მიმართვის გზით.

#### მუხლი 26

##### სხვა საერთაშორისო შეთანხმებებთან ურთიერთობა

1. ამ ხელშეკრულების განხორციელებამ ხელი არ უნდა შეუშალოს წევრ სახელმწიფოთა არსებულ ან სამომავლო საერთაშორისო შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს, რომელთა მხარესაც ისინი წარმოადგენენ, როდესაც ეს ვალდებულებები შესაბამისობაშია ამ ხელშეკრულებასთან.

2. ეს ხელშეკრულება არ უნდა დასახელდეს წევრ სახელმწიფოთა შორის თავდაცვის სფეროში თანამშრომლობის შეთანხმებების ბათილად ცნობის საფუძვლად.

მუხლი 27  
დეკომიგარი

ამ ხელშეკრულების დეკომიგარი იქნება გაეროს გენერალური მდივანი.

მუხლი 28  
გექსტების ავთენტიკურობა

ამ ხელშეკრულების დედანი გექსტი არაბულ, ჩინურ, ინგლისურ, ფრანგულ, რუსულ და ესპანურ ენებზე, რომლებიც თანაბრად ავთენტიკურია შესანახად ბარდება გაეროს გენერალურ მდივანს.

შვსრულებულია ნიუ-იორკში, მარტის ოცდამეორე დღეს, ორიათასცამეც წელს.

საგარეო ურთიერთობების სამინისტრო  
საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებათა  
თარგმნის ბიუროს  
საკანონმდებლო/REGISTRATION N 4228-01  
თარიღი/DATE 21-08-2014  
დამტკიცებული/CERTIFIED BY 2/  
Ministry of Foreign Affairs of Georgia  
TRANSLATION BUREAU  
of International Agreements of Georgia